ფასი ყველგან 10 კ.

13281

# აპაპი

გაბმულ. 2 საიუბილეო სურათებიანი ალმანახი 1908 წ.



## იუბილეისათვის მზადება ქუთაისში.

### ქუთაისიც ემზადება!..

დიდი მგოსნის დასახვედრათ
ქუთაისიც ყალყზე დგება
და თოთხმეტი დეკემბრისთვის
თავ-დადებით ემზადება...

ადრესების შესადგენათ
დაინიშნა შტატი მთელი
და ურიცხვი იწერება:
ზოგი მოკლე, ზოგი გძელი.

ხეები სულ გადაკაფეს
რასაც ქონდა მწვანე ფერი,
დაფნის ბუჩქებს ადარ შერჩა
არც ფოთოლი, ადარც ღერი ..

ჯოხებს თლიან... ქუდებს ქსოვენ...
გამალებით წნავენ ლირებს...
დღესასწაულს აპირებენ
მთელი ქვეყნის გასაკვირებს!..

იკერავენ უცხო კაბებს
ჭულ-ჯებს და ლამაზ ჩოხებს,
სპარსეთიდან დაიკვეთენ
მისალოცავ ძვირფას ნობებს...

ამზადებენ თაიგულებს
ქინძისთავებს, „ფუტკარ-ვარდებს“..
მომღერალთა ტურფა დასი
გადაუყრის გულის დარდებს...

ამ მიზნით და ამნაირათ
ქუთაისი იძვრის, ღელავს...
მაგრამ ვნახოთ მგოსნისათვის
რძეს ვინ რამდენ მოიწველავს!

ჩიტი.

## საუკეთესო პატივისცემა.

ადგილობრივ ქართულ-რუსულ გაზეთებში რამოდენიმე წერილი დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის მკვლელების შესახებ. სამსჯავროს მათ უკვე ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა და სამი შეუგნებელი ადამიანი მოელის ჯალათის ხელს, რომ სახრჩობელას თოკზე ფართხალი დაიწყოს!..

მართალია ჩვენი ბუნება გასაოცრათ შეეთვის-შეეჩვია ასეთ განაჩენთა მოსმენას და საზოგადოებრივი აზრი შეურყეველი გულგრილობით ისმენს მას, მაგრამ დღეს, ილიას მკვლელთა შესახებ, დაირღვა საერთო გულგრილობა და საზოგადოების მოწინავე ნაწილი მოითხოვს სიკვდილით სასჯელის შეცვლას.

ერთად ერთი მოტივი ასეთი მოთხოვნისა არის პატივისცემა თვით მგოსნის ხსოვნისა და ჩვენის აზრით ამაზე უკეთესს ძნელათ თუ რასმე მოიმოქმედებს მგოსნის პატივისმცემელი საზოგადოება.

---

## მეგობრებს.

მეგობრებო! გიძღვნი სალამს,
გრძნობით გულში განატარებს,
მხნედ შეუდგეთ ჩვენ ჩვენს ალამს,
დე მტერი ნუ გაიხარებს!
ეგ ხან მოკლე მისი ლხენა
დაე გლოვათ შეეცვალოს:
რაც ჩვენ ტანჯვა მოგვაყენა,
ერთი ათად მიეთვალოს!
და ეს ასეც ასრულდება,
უცვლელია კანონ-წესი:
ღამეს ფარდა აეხდება,
დღე დადგება უკეთესი!
ამ იმედით ილესება
ჩვენი რწმენა, ჩვენი აჯა,
გულში ცეცხლი ეკვესება,
გაბედულათ ტოკავს მაჯა!
ვენაცვალე მე იმ მკლავებს,
რომელთაც ის სისხლს აწოვებს,
ალომ-გმირებს, ასალკლდევებს,
აძლიერებს, ასაზრდოვებს,
რომ ისინი ძალ-მოკრებით
მოემზადონ, გაიწვართონ
და უმეტეს ძლიერებით
კვლავ მტრის თავზე აღიმართონ!
ვენაცვალე მე იმ გმირებს,
ვენაცვალე მე მათ მკლავებს,
ვინც დღეს დამზრალ ვარდთა ძირებს
გააცოცხლებს, ააყვავებს!...
მეგობრებო! მხნეთ იყავით,
გულს ცეცხლი ნუ მინელდება,
ხომ იცით, რომ თქვენის მკლავით
მომავალი იპყრდება?!.

**ნ. ზომლეთელი.**

## გურული სცენა.

**გრიგოლა.** ასე მალე ჩამოხრიგინდი ჭოვ?

**ივანიკა.** ვაი წყვეთი, ჩამოვხრიგინდი და მეტი აფერი?!

**გრიგოლა.** აბა ჰა, მოყევი... კი იქნები, ნუგეშინია, გატენილი შობის ღვეძელსავით!

**ივანიკა.** ამბავით? ბე!! ვიყავი ძმავ, მარა რა ვიყავი, ვნახე, მარა რა ვნახე?! რაცხას ხუცები რომ ჩივიან მეორე ქვეყანაოო, იქინეი ვიყავი მეგონა! კაღამ არ წავხთი კაცი და კაღამ არ ვიკითხე ბაბაი?!

**გრიგოლა.** მერე-მერე...

**ივანიკა.** მერე და გამახსენდა რაცხაიზა ვიყავი მოსრული და მოვშპი აკაკის სანახავი ბილეთიზა. მივადექი ერთს სამეგბაის სისხო სახლს, შევკევი და შევყევი... მუუხვიე და გუუხვიე, გამოუხვიე და ჩამოუხვიე, მარა რას ნახავ?.. თლა ამოდუდებულია კაცებით!. ვიხმარე გვერდული, მივაწევი, მომაწვენ და ერთ წამა ფხეკა მოვადინე კამიტეტთან.

**გრიგოლა.** რას ჩივი ბიკო? კამიტეტი ქე იყდა ასთე?

**ივანიკა.** კამიტეტს რომ ვჩივი, ჩვენი კამიტეტისთანაი არ გეგონოს, ღენერალიც კი ურევია შით. ხო, მივედი, მარა ვისი ტუღუში ხარ, კაცი არ გიყურებს... არის გახურებული ჩორთი მორთი.. რაიოდა ამდენი კაცი თუ იცნობდით აკაკის და მოხვიდოდით არ ვიცოდითო და საჯდომში ვ:ართ გაჭივრებულიო... ვაი წავხთი! ვიფიქრე, ერთი ამაას... აბა რავა... გურიეიდან ხომ არ მიკვეთდენ ჯორკობს მოტანას მეთქი, ამაზე ვინცხა საჩხერელმა უთხრა: მე საჯდომიზა არ მოვსულვარ, აკაკის თუ დამანახვებ ხუთ ხუთ ღერ სიტყვას ვეტყვი და წინა კარში რომ შემოვშპები, უკანაში გავშპებიო...

**გრიგოლა.** ყოჩაღათ უთქვამს. მერე?..

**ივანიკა.** მერე და რავარც იყო ავაღლიტეთ ბილეთები და რაცხა კაზიოლი ტეატრიაო, იქინეი გეიპიმა შენი ივანიკაი მეორე დღეს, ჩაქურაში, ტრაპაიძის კუროსავით. იგი დასაქცევი სახლი, ყოფილა ძამიავ, მარა რა ყოფილა, ერთი სოფლის სისხო. ხო, დააჯდინეს აკაკი წმინდა ბასილესავით და შეიქნა ამბავი, მარა რა შეიქნა... აგერ გამოშპა ვინცხა ცოფიანის შესუნულსავით დეიწყო სცენაზე ხბოსავით კორტიზი... ერთი კიდეც იეშალა მეგონა, მარა მეტის-მეტი ბრეტის ბრეტიაო, ისე დიემართა. აწი ბიკო, შესაწირები რამდენი მუვიდა არ იკითხავ, ჩვენს ციცეებს ყველას გაათხოვს...

**გრიგოლა.** ყოლიფერი კაი, კაი დაგემართოს, მარა ერთი იგი მითხარი ამისთანა ჭკუიან კაცებში წროულს ყანების მოსავალი რავაი იქნებათქვა, არ იკითხე?

**ივანიკა.** ააა, ჩემი სიკეთე! სამოთხეში ვიყავი მეთქი და ყანების ამბავი გეცოდინებაო, ვინ მეტყოდა?

**შხანკოლა.**

## ეშმაკის მოგზაურობა

სამშობლო ქვეყნის მცველთაგან
განაწყენები ძალზედა,
უცხოეთისკენ სამგზავროთ
შვეჯეკი მუგუზალზედა.

და გავფრინდი!...

გავფრინდი თავრიზისაკენ! თავს გადავევლე არარატის თოვლიან მწვერვალს, ჩავუნავარდე არაქსის ნაპირებს და ფრთხილათ დავეშვი სპარსეთის ერთ-ერთ სოფელში. სამშობლო ჯოჯოხეთში ნაჩვევს საშინლად მეეცხოვა ჩრდილო ადერბეჯანის თავისუფლება!

ფხიზელმა ფიდაებმა მყისვე შემნიშნეს და უფროსთან მიმიწვიეს. ვეახელი.

— გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი ვინაობა ბ-ნო ეშმაკო?

— მე, ბატონო ჩემო, ჯოჯოხეთ გურჯისტანიდან გახლავართ, მიუგე ჭრდილობიანათ.

— გურჯისტანიდან?

— დიახ ბატონო!

— ხოშგელდი ძმაო! სასიამოვნო სტუმარი ყოფილხართ. ერთი თვის წინათ, მაგგვარი ვინაობისთვის თავს კვეთდენ, დღეს თავს ევლებიან და უალერსებენ. მობრძანდით დაისვენეთ!..

— გმადლობთ ბატონო ჩემო. გთხოვთ თავრიზისკენ გზა გამასწავლოთ. მოკლე დროით ვარ წამოსული.

უფროსმა დაწვრილებით ამიხსნა ყველაფერი და თან მცველებსაც მაძლევდა, მაგრამ ჩვენი ცხოვრების მაგალითებიდან იმდენად დაშინებული გამოვდექ „მცველების“ შესახებ, რომ ვარი განვაცხადე. ესეც არ იყოს არ მინდოდა თავრიზში გავლა, პირდაპირ თეირანისკენ მიმიწევდა სული.

ნაჩვევი ჰირი სჯობია
დაუჩვეველსა ლხენასა...
ვფიქრობდი: მივალ თეირანს
და იქ დავიტკბობ სმენასა!

ოღონდაც!! თეირანის წესრიგი გასაოცრად წაგაგავს ჩვენი თფილისისას. მართალია ჩვენ მეჯლისი არა გვქონია, მაგრამ თეირან-მეჯლისური მოქმედება ბევრის ბევრი გვინახავს.

ავფრინდი კვალად და სამი საათის შემდეგ ბაგუშაჰის სასახლესთან დავეშვი. რუსეთის საელჩოს პირით ვაცნობე ირანის მბრძანებელს, რომ „ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენტს სურს მისი ნახვა და აუდენციას როდის დამინიშნავს მეთქი. შაჰს ძლიერ მოსწონს ისეთი „კონსტიტუციური“ ორგანოები, როგორიც არის სუვორინის გაზეთი და ბევრი ცდა აღარ დამჭირდა.

— მობრძანდით მოციქულო თავისუფლებისავ! მთრთოლვარე ხმით წარმოსთქვა შაჰმა.

— ბედნიერი ვარ, ირანის მზეო და მბრძანებელო სრულიად სპარსეთისა, თქვენი ხილვით, მოკრძალებით მივუგე მე და სამგზის წელში გავიღუნე.

— დაბრძანდით ძვირფასო სტუმარო!

— ვმადლობ ლომსა ირანისასა და ბრწყინვალე შაჰინ-შაჰსა, კეთილსა მამასა თავისი ერისასა!

მე გვერდულათ ჩამოვჯექ სავარძელზე და ვკანკალებდი: მეშინოდა ჩემი ნამდვილი ვინაობა არ გაეგო. დარბაზის კედლებზე მრავალნაირი „კონსტიტუციური“ სამკაულები ეკიდა: ხუთ-გვარი ჯაქვ-ბორკილები, მუხრუჭები, მარწუხები ენის ამოსაგლეჯი, თავ-წათლილი მარგილები, ადამიანთა ჩამოსაგებათა, სხვა და სხვა ღირსების თოკები გალსტუკებათ გამოსადეგი, შანთები დაღის დასაკრავათ, შამფურები თვალების გამოსათხრელათ, მახვილი დანები ყურებისა და ცხვირების დასათლელათ, შოლტების კანის შესახურებლათ და სხვანი და სხვანი...

შაჰმა სიამოვნებით ამიხსნა მითი მნიშვნელობა და სარგებლობა ყოველგვარ „კონსტიტუციურ“ ქვეყნისთვის. მეც რასაკვირველია სიამოვნებით მოვუსმინე და „თქვი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გამეგზავნა მისთვის ეგრეთ წოდებული „რეზინის ღვედები“, რომლებსაც ისე ხელოვნურათ ხმარობდენ ბალტიის მხარეში. შაჰის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

— გმადლობთ, ძვირფასო სტუმარო, კეთილი რჩევისთვის, გმადლობთ. თქვენი გაზეთი ყოველთვის ხელს მიწყობდა ჩემს კეთილ განზრახულებაში და იმედი მაქვს არც ახლა დამაკლეთ დახმარებას.

— მზათა ვარ ვემსახურო თქვენს უდიდებულესობას, მზეო ირანისავ! მივუგე მე და ლაპარაკი სათარ-ხანის ბრძოლაზე გადავიტანე.

— ამბობენ სათარ-ხანს თავრიზი აუღია, მზეო ბრწყინვალევ!

— სიცრუეა! მოჰკვეთა შაჰმა.

— ამბობენ ქალაქი მარანდიც აუღია, სალმასტიცა და ხოიც. ხალხი ყველგან აღტაცებით ეგებებაო! მომეცით საბუთი და ნებართვა ჩემი გაზეთის საშვალებით უარვყო ეს ცრუ ხმები, მზეო სპარსეთისავ!

— სიამოვნებით, სიამოვნებით, ძვირფასო სტუმარო! გაბრწყინებულის სახით მიპასუხა შაჰმა და ანიშნა კარის კაცს შემოეყვანათ მოქალაქენი.

არ გასულა ნახევარი საათი, დარბაზი ვაჭარ-მოქალაქეებით აივსო. კარის კაცებმა აუხსნეს, რომ თუ სიმართლეს არ ილაპარაკებენ, ანუ შაჰის წინააღმდეგ წავლენ მართლ-მსაჯულებას ვერ გაექცევიან და ნიშნათ შთაგონებისა ოთახის საშვაულებზე მიუთითეს.

ყველა ამაების შემდეგ მოქალაქეებმა დაწვრილებით მიამბეს შაჰის ნამდვილი თვისებები: მისი კაცთ-მოყვარული და სიბრალულით აღსავსე გული, მისი ზნეობრივი სიფაქიზ-უმანკოება, მისი დაუსრულებელი ქველ-მოქმედება, მისი უანგარობა, მისი შეურყეველი მართლ-მსაჯულება... ერთი სიტყვით არ დაუტოვებიათ არაფერი, რითაც განთქმულია სახელოვანი მბრძანებელი ალი მაჰომედი, მზე სპარსეთისა. მე ყურს ვუგდებდი და ვსტკბებოდი! განა სამშობლოში არ მცოდნია მისი კეთილი თვისებები?!! ვიცოდი, მაგრამ ასე შიშვლათ და ეგზომ საბუთიანათ არა და არა!

ვსტკბებოდი, როგორც მოგახსენეთ და თანაც ვატყობდი შაჰს, რომ ჩემგან რაღაც დახმარებას ელოდა, დახმარებას, რომელზედაც დიდათ იყო დამოკიდებული მისი კაცთ-მოყვარული ბუნების არსებობა. ბოლოს როგორც იქნა გაბედა.

— თქვენ სასურველო სტუმარო, უნდა ერთი დახმარება გამიწიოთ!..

— ათასი იყოს მზეო აღმოსავლეთისავ! თქვენი სამსახური ჩემს სიამოვნებას შეადგენს კაცობრიობის ამაყებავ! მდაბლათ მიუგე მე.

— ჩემი საყვარელი სამეფო ერთობ ღარიბია ფინანსიურათ, გესმისთ? ნაღდი თანხა არა გვაქვს, გაიგეთ?..

— გავიგე ჩემო სინათლეევ!..

— კონსტიტუციის უზრუნველ-საყოფათ ამა რას კმარა ერთად ერთი პოლკი? რას გახდება ჩემი და თქვენი სახელოვანი კაზაკთა ბრიგადა? საჭიროა ახალი პოლკები, ახალი იარაღები! გესმისთ პატივცემულო?

— მესმის იესო ქვეყნისავ, გვირგვინო მსოფლიოსავ! საკუთარის გამოცდილებით ვიცით!

— მაშ დამეხმარეთ და გაშიშვეთ ხელი ფულით, რომ შევსძლო ჩემი საყვარელი ხალხის გაბედნიერება, ჩემი ქვეყნის აყვავება!

— სიამოვნებით ისმენენ ყურნი ჩემნი თქვენს ღვთაებრივ სურვილს დიდებავ თეირანისავ; ჩვენი ხაზინა სავსეა ოქროს ზოდებით და სახელოვანი მესამე დუქა არ დაიშურებს თქვენის კეთილი განზრახვისათვის თუნდაც თავისს უკანასკნელ წვლილს, არა თუ ზედ-მეტსა და მონამრჩენოს!

ცრემლ მორეული შაჰი მომვარდა, რომ გადამხვეოდა, მაგრამ უცებ შემოკრილმა დიქტატორმა შეაჩერა და რაღაც ქაღალდი გადასცა. შაჰს ფერი ეცვალა! მთრთოლვარე ხმით ჩაიკითხა და მრისხანეთ შესძახა:

— ტყუილია! უბრძანეთ დღესვე მომგვაროან დაჭერილი ის ვიღაც სათარ-ხანია! გაიგეთ?! ან ცოცხალი, ან მკვდარი! დღესვე აიღეთ თავრიზი! მოსპეთ ადერბეჯანი გესმისთ?!! მოსპეთ, გაანადგურეთ!

მე შიშის ზარმა ამიტანა. დიქტატორმა აუხსნა, რომ ჯარი აღარ იბრძვის, სალდათები გარბიან, ხალხი გვღალატობსო და კაცთ მოყვარე შაჰი უფრო გაამრაზა. მცირე მოსაზრების შემდეგ მან კვლავ მრისხანებით აღაღო პირი და ბრძანა:

— მიბრძანებია: ჩამოერთოს ქონება ყველას, ვისაც ათას თუმანზე მეტი ან ნაკლები აქვს სახელმწიფო საჭიროებისათვის, დამზადდეს ჩემ სალაშქროთ ქარავანი და სურსათი... გესმისთ? საჩქაროთ!..

ვეზირი გავიდა და დამშვიდებული შაჰი ღიმილით მომიახლოვდა.

— იცი მეგობარო?.. მზადება ყოველთვის საჭიროა.. თუ სალაშქროთ ვერ წავედი, თქვენს ძვირფას ქვეყანას მაინც შემოვაფარებ თავს. გულ-ახდილათ გეტ-

ყვით, რომ მომძულდა ამდენი შიში და შეწუხება. თქვენს კურთხეულ ქვეყანაში ერთს თავისუფლათ მაინც ამოვისუნთქავ! ეხლა მშვიდობით.

— მშვიდობით სპარსეთის სასიქადულო და შარავანდო აღმოსავლეთისავ!

მდაბლათ თავი დაუკარი და ფრთა-გაშლილი ოსმალეთისაკენ გავეშურე.

ეშმაკი.

აკაკი ახალგაზდობისას.

აკაკი თავისი მეუღლით.

აკაკი 1908 წელში.

## დელეგატები.

(სცენა აკაკის იუბილეის დღეს).

(ვეგერთველა თეატრი ხალხით მთლად გაჰფენილია. სცენა დულს და გადადულს. გადაჭარული დელეგატები ჩარაზმული დგანან და ელიან თავიანთ რიგს, რომ წარსდგენ დიდებული მგოსნის წინაშე და მიულოცონ დღესასწაული. ფარდის აწევამდის წინ წამოვა ერთი დელეგატი, დაბალ ტანის მოხუცი).

**პირვ. დელეგ.**—აკაკი! გამარჯობა! გილოცავ... ჰმ!.. ჰმ...(მოიქუზება და აქეთ იქით იხედება) ჰმ! ჰმ! დასწყევლოს ღმერთმა... გამკრავი ქარი... უჰ.!. შალის წამოღება სულ დამავიწყდა... (ხალხისკენ) მოხურეთ კარი... მეშინია არ გავცივდე. აკაკი! გილოცავ... მაგრამ გაცივების მეშინია და მემრე მოგილოცავ (მოიქუზება და იქვე სკამზე ჩამოჯდება. გამოდის მეორე დელეგატი, გაჩერდება მგოსნის წინ აათვალიერ ჩაათვალიერებს და აკანკალებულის ხმით მიმართავს:)

**მეორ. დელეგ.**—დიდებულო აკაკი...(შეჩერდება და ნერწყვს ყლაპავს) აკაკი!..იცოცხლეთ... (ენა დაებმის სიტყვები ვერ უპოვნია, აქეთ-იქით იხედება უომედოთ, ვიღაცას ეძებს, ბოლოს დაინახავს თავის თანამხლებს და იმედი მიეცემა) აკაკი! გისურვებთ სიცოცხლეს... დანარჩენს ეს გეტყვით (ხელს მიუშვერს თავის თანამხლებზე, მისი მხლებელი განაგრძობს სიტყვას და ბოლოს ორივენი მდაბლათ თავს დაუკრავენ და გადიან ხალხში. გამოდის მესამე დელეგატი, პატარა ტანის სპარსელი.)

**მესამე დელეგ.** (სანამ სიტყვას დაიწყებდეს კატასავით ტუჩებს აცმაცუნებს და ილიმება, შემდეგ უცბათ დაიყვირებს მჟახე ხმით) დიდებულო მგოსანო! სპარსეთის ქართველები... მმმ... (შეჩერდება, წელზე ხელს შემოიდგამს და თავს აქანებს) გილოცავთ დიდებულ მგოსანს 50 წლის იუბილეის..დიდებულო მგოსანო! (თავს იქნევს თითქო ბუზებს იგერებსო. დიდებულო მგოსანო! (შეჩერდება, თავის ქნევას მოუხშირებს, ხალხში ტაშის ცემა ასტყდება. სპარსელი გაუზიკიანდება, მარჯვენა ხელს აიშვერს და გამწარებული იქნევს) ერთი ლექსი! (ტაშის ცემა შეწყდება) დიდებულო მგოსანო!

მინდა გითხრა ერთი ლექსი,
ხუთს რომ ერთი მიუმატოთ
ხომ იქნება სწორეთ ექვსი?
(მიუბრუნდება ხალხს)
ტაშს რომ ურტყამთ, დაიცადეთ,
მე გამოვთქვი აგი ლექსი.

(გაცუნცულდება ხალხისკენ. გამოდის მეოთხე დელეგატი).

**მეოთხ. დელ.**—(ჯერ ზეპირათ დაიწყებს ლაპარაკს) დიდებულო მგოსანო! (ნერწყვს ყლაპავს. თავს შეიფხანს) დღევანდელი დღე დიდებული დღეა ქართველი ერისაგვის. თფილისის მუშები... (ენა დაებმის, შეჩერდება. დიდხანს არის ასე გაჩერებული. შემდეგ გაშლის ქაღალდს, რომელიც ხელში უჭირავს ჯიბიდან თავ წათლილ ჩხირს ამოიღებს და კითხულობს) დღეს ქარ... თვე... ლი... ე...რი დღე... სა... სწა... ულ...ობს (შეჩერდება გულზე მუშტს იცემს. ხალხში ტაშის (ცემა ასტყდება დელეგატს დავთარი ებნევა და ჯორიკით გაჩერდება. ცოტა ხნის შემდეგ ამოიბვნეშებს შუბლიდა სიმწრის ოფლს მოიწმენდს და მიმართავს პოეტს) დიდებულო მგოსანო! დღეს დილით სიჩქარის გამო დიდი ლუკმა გადავყლაპე, ყელზე დამადგა და მას შემდეგ ძლიერ მიშლის ლაპარაკს, ამიტომ უძჯობესი იქნება, დარჩენი, გაზეთში დაბეჭდილი წაიკითხოთ. მშვიდობით მდაბლათ თავს უკრავს და გადის. უცბათ მოისმის საშინელი ქშენა. ხალხი სულგანაბულია. პოეტის წინ გამოხტება ოღაც უცნაური არსება.)

**მცხოვ. დელეგ.**—(ტანზე ქართული ქულაჯა აცვია, თვალები მოჭიდავე ხარივით დაუპარწავს. სახე გაბრწყინებული აქვს. გამოსულისთანავე ის უცნაურათ ხელებს გაშლის ერთს შეხტება და ვიჟვიეთ აქეთ იქით ძუნძულს დაიწყებს. შემდეგ პოეტის წინ გაჩერდება, თვალებს საშინლათ დააბრიალებს, ხელებს გაიშვერს, თითქო საჰიდაოთ იწვევსო და დაიქუხებს) დიდებულო პოეტო! უჰ! დიდებულო პოეტო. ვის ვხედავ ამას, ვისს?! (პოეტი ულ-



ᲝᲠᲘ ᲔᲨᲛᲐᲙᲘ.

**პირველი.** ნეტავ თუ გახსოვს
ᲨᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ რომ იყო
ᲛᲘᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

**მეორე.** რას მეკითხები?!..
მახსოვს კი არა
ათასჯერ საქმეს ჩამეზიარა...
ᲯᲝᲯᲝᲮᲔᲗᲘᲡᲐ
მე ვარ შვილიო
შენს უფრო ნასწავ-გამოცდი-
და ამას ყველა ლიო...
ნათლათ ხედავდა;
ან კი ურჩობას ვინ გაბედავდა?!

**პირველი.** მაშ ეს მაცნობე
გაფიცებ ძმობას.
კარგს თუ უწევდა
ხალხს მეგობრობას;
რით ისახელა
ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲨᲘ თავი
და ხომ არ იყო
ᲪᲝᲢᲐ გამკრავი?..

**მეორე.** გამკრავი? იყო...
„გამოსარჩენში“
სხვა არვინ ყავდა
ბადალი ჩვენში...
ერთხელ ფარნებსაც
გაჰკრა, ჩალეწა,
მაგრამ რათ გინდა
ეს ᲪᲜᲝᲑᲐ ნეტა?!

**პირველი.** რათ მინდა?! ნეტა
იცოდე შენა,
როგორ შეგვამკო
და დაგვამშვენა.
ადღსაშია დღეს ბოქაულად
და ᲥᲠᲗᲐᲛᲘᲡ საქმე
იქ მოსპო სრულათ...

**მეორე.** რა მითხარ ძმაო
ეს საშინელი
ნუ თუ ᲥᲠᲗᲐᲛᲔᲑᲖᲔ
აიღო ხელი?!
მაშ დაგვკარგვია
ᲩᲕᲔᲜ ᲓᲘᲠᲘᲡ შვილი
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲐᲨᲐ
ᲛᲘᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

**პირველი.** არა ძმობილო
გულს ნუ იღონებ,
ᲛᲘᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲖᲔ
ᲭᲝᲠᲡ ნუ იგონებ.
ის ᲩᲕᲔᲜᲡ ᲯᲝᲯᲝᲮᲔᲗᲡ
ᲙᲕᲐᲚᲐᲓ ᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲡ,
არც უღალატებს
ᲐᲠᲝᲓᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ.
აქ განსწავლული
და მიჩვეული
რათ დასტოვებდა
ᲥᲠᲗᲐᲛᲔᲑᲡ წყეული
იქაც იღებდა დაუზოგავათ
ზოგს სხვისი ხელით
ᲖᲝᲒᲘᲡᲒᲐᲜ თავათ.

---

ᲕᲐᲨᲔᲑᲨᲘ იᲪᲘᲜის და ᲨᲘᲨᲘᲗ შესᲪᲥᲔრის დᲔᲚᲔᲒᲐᲢᲡ რომ უᲪᲑᲐთ არ დაეᲭიდოს.) მე ᲛᲘᲪᲜᲝᲑ? ვაი დედაᲩᲔᲛᲡ! მე რაფიელ ერიᲮᲗᲐᲕᲘᲡ იუᲑᲘᲚᲔᲘᲡᲖᲔᲪ კი გახლდით. იქ მიᲜᲓᲝᲓᲐ მესახელა თავი, კაი რეᲩᲘᲪ მოვაᲛᲖᲐდე, მაგრამ დამღუᲗᲐ განსᲬᲐᲕᲚᲔᲑᲣᲚᲛᲐ გიორგი წერეთელმა, ᲪᲝᲢᲐ დამაგვიანდა ის იყო გამოსᲕᲚᲐს ვაპირებდი, რომ შეᲛᲮᲕᲓᲐ კულისებში დამეᲭიდა და გამაჩერა. მე ᲧᲕᲘრილი დავიწყე და იუᲑᲘᲚᲔᲘ კიდეᲪ გათავდა. (გახᲢᲔᲑᲐ უკან, მარჯვენა ფეხს შეათამაშებს, და ხელებ გაშᲕᲔრილი გამორᲑის პოეტისკენ) დღეს დიდებუᲚᲝ მგოსანო, ᲑᲔᲓᲜᲘᲔრი ვარ (გახᲢᲔᲑᲐ განზე, თვალებს დააᲑრიალებს და თავის ქᲜᲕᲘთ, თითქო მოᲭიდავე ხარი საᲠᲥᲔᲜათ იწᲕᲔᲓ მოწინააღმდეგესო, ისე გამორᲑის პოეტისკენ. დაუახლოვდება თუ არა გაჩერდება ერთ ალაგს, წელზე ხელს შემოიდგამს, ცალ ფეხს წინ წადგამს და პირს დაიღებს ხალხი უკან იწᲕᲔᲓᲔ.

**ᲮᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲔᲠᲘᲓᲐᲜ**— დაᲭᲘთ არ გაუშᲕᲐთ!

**ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲜᲓᲘᲚᲝᲡᲐᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲔᲠᲨᲘ**—(გული უწუᲑᲔᲓᲔᲑᲐ და კავალერს მიმართავს) ᲞᲔᲢᲝ! მიᲜᲔᲚᲔᲒ, გამიᲧᲕᲐნე აქᲔᲓᲐᲜ. გადᲛᲝᲮᲢᲔᲑᲐ აქᲔᲗ და ᲧᲔᲚᲔᲡ დაგᲕᲚᲔᲚწᲐᲕᲡ. (გული წაუᲕᲐ და გარᲔᲗ გაიᲧᲕᲐნᲔ. დᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘ შეᲮᲢᲔᲑᲐ კიდეᲓ და გარᲑᲘᲡ პოეტისკენ).

**ᲞᲝᲔᲢᲘ.**— (შეშინებული წამოდგება ᲮᲔᲚᲔᲑᲘ წინ გაიშᲕᲔრს) შესდექ!
რას მიᲧურებ, რას მიᲑᲔᲚᲕᲔრი
შემაშინე, დამაღონე,
საᲭიდაოთ ᲕᲔრ გამოვალ
აღარ შემწᲕᲔᲓ ძალი-ღონე. (დაᲯდება)

**ᲓᲔᲚᲔᲒ.**—(გადახᲢᲔᲑᲐ განზე და გაᲭᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ გამორᲑის ისევ პოეტისაკენ, არა, დიდებულო მგოსანო! იᲪᲘთ მე ვინ ვარ? (გარᲑის უკან და ისევ პოეტისაკენ მოᲭᲠᲘს ხელების შლით) იᲪᲘთ მე ვინ ვარ?

**ᲞᲝᲔᲢᲘ.**—(გაᲯᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ):
ᲕᲘᲜᲪ უᲜᲓᲐ იყო
ᲩᲔმთვის ერთია,
არ მსურს გეᲭიდო
თუ მწᲐმს ღმერთია.

**ᲓᲔᲚᲔᲒ.** (ხელების შლით) მე, დიდებულო მგოსანო! მე ვარ **ᲭᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ რკᲘᲜის გზᲔᲑᲘᲡ** მუშათა მოსამსახურეᲔᲑᲘᲡ საᲑუᲜᲩᲐ, ᲔრᲔᲕᲐᲜᲘ, აᲥᲡᲢᲐᲤᲐ, Ბათუმი, ᲑაᲥᲝ და სხვათა და სხვათა წარმომადგენელი „სანდრო წᲥᲕᲔრტიაშვილი“ (მიᲜᲘრᲑᲔᲜს პოეტთან. უნდა აკოცოს. პოეტი შეშინებული წამოდგება და ᲯᲝᲮᲡ მოუᲦᲔრს. სანდრო ერთს შეᲮᲢᲔᲑᲐ და გარᲑის ხალᲮᲨი. ხალხის აღᲢᲐᲪᲔᲑᲐს საᲖᲦᲕᲐრი არა აქᲕს. გამოდის მეᲔᲥᲕᲘᲡ დᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘ)

**მᲔᲔᲥᲕᲘᲡ ᲓᲔᲚ.** (გამოვა, ᲥᲣრდულათ ფეხ-აკრეფით მიდის პოეტთან, შემᲓᲔᲒ გაიᲑᲔრᲔᲑᲐ, კისერს გაიძაᲑᲐᲕს, თვალებს დაᲐᲧᲔᲢს და უკან-უკან იხᲔᲕს ᲯᲝრᲘᲕით. ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜის შემᲓᲔᲒ ისევ პოეტისკენ მიᲓის. ისევ უკან ᲑრუᲜᲓᲔᲑᲐ და კიდეᲕ წინ წᲐᲕᲐ. ასე გაიᲛᲔორᲔᲑს რამᲓᲔᲜᲯᲔრᲘᲡ. ᲮᲐᲚᲮᲘ სულ განაᲑუᲚი ᲔᲚᲘს, რომ დᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘ რაღაც უᲪᲜაურ რამეს იტᲧᲕის. ᲞᲝᲔᲢს გული უწუᲮᲓᲔᲑᲐ, მოუთმᲔᲜᲚᲝᲑᲐ ᲔᲢᲧᲝᲑᲐ. ᲑᲝᲚᲝს წამოდგᲔᲑᲐ და მიმართავს):

**ᲞᲝᲔᲢᲘ.**—საᲭიდაოთ თუ მიწᲕᲔᲓ, ᲩᲔმო ძმაᲕ, ერთს უარი უთᲮᲐრი და ახლა შᲔᲜთან აღარ გამოვალ და საᲪᲔᲙᲕᲐოთ-კი არა მᲪᲐლიან.

**მᲔᲔᲥ. ᲓᲔᲚ.**—(ძალზე გაიᲑერᲔᲑᲐ და მიდის პოეტისკენ) დიდებულო მგოსანო!

**ᲞᲝᲔᲢᲘ.**—სთქვი!

**მᲔᲔᲥ. ᲓᲔᲚ.**—დიდებულო მგოსᲔᲜო
მსურს ᲚᲔᲥᲪᲘი მოგახსᲔᲜო.

(თავს უკრავს და უᲪᲑᲐთ გარᲑის ᲮᲐᲚᲮისკენ, სახე გაᲑრწᲧᲘᲜᲔᲑᲣᲚი, რომ საუᲪᲮᲝᲕო სიტᲧᲕა უთᲮრა პოეტს. შემოდის დᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘ ᲭᲐᲚი).

**ᲭᲐᲚი.**—(მოუᲓᲔგᲔᲑᲐ გᲕᲔრᲓᲘᲡ პოეტს და წრიპინს დაიწᲧᲔᲑს). დიდებულო მგოსანო! რუსის ᲭᲐᲚᲔᲑᲛᲐ გამომგზავნეს (ᲔᲜᲐ ᲔᲑᲛის. სიᲪᲘᲚი აუᲢᲧᲓᲔᲑᲐ) მოგიᲚᲝᲪᲝთ. (საშინᲚᲐდ გაწითᲚᲓᲔᲑᲐ, ᲚᲐᲞᲐრაკს ᲕᲔᲓᲐრ ახᲔრᲮᲑს, თავს იქნᲔᲕს. უᲪᲑᲐდ ᲮᲔᲚᲔᲑს გაᲨᲚის ერთს შᲔᲮᲢᲔᲑᲐ და პოეტს გადაᲔᲮᲕᲔᲕᲐ. დაიწᲧᲔᲑᲐ მᲮურვაᲚᲔᲑᲐ ამᲑᲝრი..... ᲪᲝᲢᲐ ᲮᲐნს შემᲓᲔᲒ ᲭᲐᲚი ᲙᲐᲑᲐ ამოᲙᲐᲞᲘწᲧᲔᲑᲣᲚი გარᲑის).

(ფარდა ᲔშᲕᲔᲑᲐ)

ი—ლი.

ყვით, რომ მომძულდა ამდენი შიში და შეწუხება. თქვენს კურთხეულ ქვეყანაში ერთს თავისუფლათ მაინც ამოვისუნთქავ! ეხლა მშვიდობით.

— მშვიდობით სპარსეთის სასიქადულო და შარავანდო აღმოსავლეთისავ!

მდაბლათ თავი დაუკარი და ფრთა-გაშლილი ოსმალეთისაკენ გავეშურე.

ეშმაკი.

აკაკი ახალგაზდობისას.

აკაკი თავისი მეუღლით.

აკაკი 1908 წელში.

## დელეგატები.

(სცენა აკაკის იუბილეის დღეს).

(ვეფერთელა თეატრი ხალხით მთლად გაპეტილია. სკამნი დულს და გადადულს. გადაკაჩული დელეგატები ჩარაზმული დგანან და ელიან თავიანთ რიგს, რომ წარსდგენ დიდებული მგოსნის წინაშე და მიულოცონ დღესასწაული. ფარდის ახდისას წინ წამოვა ერთი დელეგატი, დაბალი ტანის მოხუცი).

**პირვ. დელეგ.**—აკაკი! გამარჯობა! გილოცავ... ჰმ!.. ჰმ...(მოიქუზება და აქეთ იქით იხედება) ჰმ! ჰმ! დასწყევლოს ღმერთმა... გამკრავი ქარი... უჰ.!. შალის წამოღება სულ დამავიწყდა... (ხალხისკენ) მოხურეთ კარი... მეშინია არ გავცივდე. აკაკი! გილოცავ.. მაგრამ გაციების მეშინია და მემრე მოგილოცავ (მოიქუზება და იქვე სკამზე ჩამოჯდება. გამოდის მეორე დელეგატი, გაჩერდება მგოსნის წინ აათვალიერ ჩაათვალიერებს და აკანკალებულის ხმით მიმართავს:)

**მეორ. დელეგ.**—დიდებულო აკაკი..(შეჩერდება და ნერწყვს ყლაპავს) აკაკი!..იცოცხლეთ... (ენა დაებმის სიტყვები ვერ უპოვნია, აქეთ-იქით იხედება უიმედოთ, ვილაცას ეძებს, ბოლოს დაინახავს თავის თანამხლებს და იმედი მიეცემა) აკაკი! გისურვებთ სიცოცხლეს... დანარჩენს ეს გეტყვით (ხელს მიუშვერს თავის თანამხლებზე, მისი მხლებელი განაგრძობს სიტყვას და ბოლოს ორივენი მდაბლათ თავს დაუკრავენ და გადიან ხალხში. გამოდის მესამე დელეგატი, პატარა ტანის სპარსელი.)

**მესამე დელეგ.** (სანამ სიტყვას დაიწყებდეს კატასავით ტუჩებს აცმაცუნებს და ილიმება, შემდეგ უცბათ დაიყვირებს მჟახე ხმით) დიდებულო მგოსანო! სპარსეთის ქართველები... მმმ... (შეჩერდება, წელზე ხელს შემოიდგამს და თავს აქანებს) გილოცავთ დიდებულ მგოსანს 50 წლის იუბილეის...დიდებულო მგოსანო! (თავს იქნევს თითქო ბუზებს იგერებსო. დიდებულო მგოსანო! (შეჩერდება, თავის ქნევას მოუხშირებს, ხალხში ტაშის ცემა ასტყდება. სპარსელი გაფხიკინდება, მარჯვენა ხელს აიშვერს და გამწარებული იქნევს) ერთი ლექსი! ლექსი! (ტაშის ცემა შეწყდება) დიდებულო მგოსანო!

მინდა გითხრა ერთი ლექსი,
ხუთს რომ ერთი მიუმატოთ
ხომ იქნება სწორეთ ექვსი?

(მიუბრუნდება ხალხს)

ტაშს რომ ურტყამთ, დაიკადეთ,
მე გამოვთქვი აგი ლექსი.

(გაცუნცულდება ხალხისკენ. გამოდის მეოთხე დელეგატი).

**მეოთხ. დელ.**—(ჯერ ზეპირათ დაიწყებს ლაპარაკს) დიდებულო მგოსანო! (ნერწყვს ყლაპავს. თავს შეიფხანს) დღევანდელი დღე დიდებული დღეა ქართველი ერისთვის. თფილისის მუშები... (ენა დაებმის, შეჩერდება. დიდხანს არის ასე გაჩერებული. შემდეგ გაშლის ქაღალდს, რომელიც ხელში უჭირავს ჯიბიდან თავ წათლილ ჩხირს ამოიღებს და კითხულობს) დღეს ქარ... თვე... ლი... ე...რი დღე... სა... სწა... ულ...ობს (შეჩერდება გულზე მუშტს იცემს. ხალხში ტაშის ცემა ასტყდება. დელეგატს დავთარი ეშნევა და ჯორიოთ გაჩერდება. ცოტა ხნის შემდეგ ამოიხვნეშებს შუბლიდა სიმწრის ოფლს მოიწმენდს და მიმართავს პოეტს) დიდებულო მგოსანო! დღეს დილით სიჩქარის გამო დიდი ლუკმა გადავყლაპე, ყელზე დამადგა და მას შემდეგ ძლიერ მიშლის ლაპარაკს, ამიტომ უჭკობესი იქნება, დარჩარჩენი, გაზეთში დაბეჭდილი წაიკითხოთ. მშვიდობით მდაბლათ თავს უკრავს და გადის. ეცბათ მოისმის საშინელი ქშენა. ხალხი სულგანაბულია. პოეტის წინ გამოხტება რაღაც უცნაური არსება.)

**მეხუთ. დელეგ.**—(ტანზე ქართული ქულაჯა აცვია, თვალები მოქიდავე ხარივით დაუპრაწავს. სახე გაბრწყინვებული აქვს. გამოსულისთანავე ის უცნაურათ ხელებს გაშლის ერთს შეხტება და ვიეკივით აქეთ იქით ძუნძულს დაიწყებს. შემდეგ პოეტის წინ გაჩერდება, თვალებს საშინლათ დაბრიალებს, ხელებს გაიშვერს, თითქო საჭიდაოთ იწვევსო და დაიქუხებს) დიდებულო პოეტო! უჰ! დიდებულო პოეტო. ვის ვხედავ ამას, ვის?! (პოეტი ულ-



ორი ეშმაკი.

**პირველი.** ნეტავ თუ გახსოვს
ᲨᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ რომ იყო
მიქიაშვილი.

**მეორე.** რას მეკითხები?!..
მახსოვს კი არა
ათასჯერ საქმეს ჩამეზიარა...
ჯოჯოხეთისა
მე ვარ შვილიო
შენს უფრო ნასწავ-გამოცდი-
და ამას ყველა ლიო...
ნათლათ ხედავდა;
ან კი ურჩობას ვინ გაბედავდა?!

**პირველი.** მაშ ეს მაცნობე
გაფიცებ ძმობას.
კარგს თუ უწევდა
ხალხს მეგობრობას;
რით ისახელა
ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲨᲘ თავი
და ხომ არ იყო
ცოტა გამკრავი?..

**მეორე.** გამკრავი? იყო...
„გამოსარჩენში"
სხვა არვინ ყავდა
ბადალი ჩვენში...
ერთხელ ფარნებსაც
გაჰკრა, ჩალეწა,
მაგრამ რათ გინდა
ეს ცნობა ნეტა?!

**პირველი.** რათ მინდა?! ნეტა
იცოდე შენა,
როგორ შეგვამკო
და დაგვამშვენა.
აღწსაშია დღეს ბოქაულად
და ქრთამის საქმე
იქ მოსპო სრულათ...

**მეორე.** რა მითხარ ძმაო
ეს საშინელი
ნუ თუ ქრთამებზე
აიღო ხელი?!
მაშ დაგვკარ-გვია
ჩვენ ღირსი შვილი
ჩვენი იაშა
მიქიაშვილი.

**პირველი.** არა ძმობილო
გულს ნუ იღონებ,
მიქიაშვილზე
ᲭᲝᲠᲡ ᲜᲣ ᲘᲒᲝᲜᲔᲑ.
ის ჩვენს ჯოჯოხეთს
კვალად ამშვენებს,
არც ულალატებს
ᲞᲠᲝᲓᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ.
აქ განსწავლული
და მიჩვეული
რათ დასტოვებდა
ქრთამებს წყეული
იქაც იღებდა დაუზოგავათ
ზოგს სხვისი ხელით
ზოგისგან თავათ.

---

ვაშებში იცინის და შიშით შესცქერის დელეგატს რომ უცბათ არ დაეჭიდოს) მე ᲨᲘᲪᲜᲝᲑ? ვაი დედაჩემს! მე რაფიელ ერიხთავის იუბილეიზეც კი გახლდით. იქ მინდოდა მესახელა თავი, კაი რეჩიც მოვამზადე, მაგრამ დამღუპა განსვენებულმა გიორგი წერეთელმა, ცოტა დამაგვიანდა ის იყო გამოსვლას ვაპირებდი, რომ შემხვდა კულისებში დამეჭიდა და გამაჩერა. მე ყვირილი დავიწყე და იუბილეი კიდეც გათავდა. (გახტება უკან, მარჯვენა ფეხს შეათამაშებს, და ხელებ გაშვერილი გამორბის პოეტისკენ) ᲓᲦᲔ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲝ ᲛᲒᲝᲡᲐᲜᲝ, ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲕᲐᲠ (გახტება განზე, თვალებს დააბრიალებს და თავის ქნევით, თითქო მოჭიდავე ხარი სარქენათ იწვევს მოწინააღმდეგესო; ისე გამორბის პოეტისკენ. დაუახლოვდება თუ არა გაჩერდება ერთ ალაგს, წელზე ხელს შემოიდგამს, ცალ ფეხს წინ წადგამს და პირს დააღებს ხალხი უკან იწვევს.

**ᲮᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲔᲠᲘᲓᲐᲜ**— დაეპით არ გაუშვათ!

**ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲜᲓᲘᲚᲝᲡᲐᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲔᲠᲨᲘ**—(გული უწუხდება და კავალერს მიმართავს) პეტო! მიშველე, გამიყვანე აქედან. გადმოხტება აქეთ და ყველას დაგვლეწავს. (გული წაუვა და გარეთ გაიყვანენ. დელეგატი შეხტება კიდევ და გარბის პოეტისკენ).

**ᲞᲝᲔᲢᲘ.**— (შეშინებული წამოდგება ხელებს წინ გაიშვერს) შესდექ!
რას მიყურებ, რას მიბღვერი
შემაშინე, დამაღონე,
საკიდაოთ ვერ გამოვალ
აღარ შემწევს ძალი-ღონე. (დაჯდება)

**ᲓᲔᲚᲔᲒ.**—(გადახტება განზე და გაკანებული გამორბის ისევ პოეტისაკენ, არა, დიდებულო მგოსანო! იცით მე ვინ ვარ? (გარბის უკან და ისევ პოეტისაკენ მოქრის ხელების შლით) იცით მე ვინ ვარ?

**ᲞᲝᲔᲢᲘ.**—(გაჯავრებული):
ვინც უნდა იყო
ჩემთვის ერთია,
არ მსურს გეკიდო
თუ მწამს ღმერთია.

**ᲓᲔᲚᲔᲒ.** (ხელების შლით) მე, დიდებულო მგოსანო! მე ვარ **ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ** მუშათა მოსამსახურეების საბუნჩა, ერევანი, აქსტაფა, ბათუმი, ბაქო და სხვათა და სხვათა წარმომადგენელი „სანდრო წკვერტიაშვილი" (მიირბენს პოეტთან. უნდა აკოცოს. პოეტი შეშინებული წამოდგება და ჯოხს მოუღერს. სანდრო ერთს შეხტება და გარბის ხალხში. ხალხის აღტაცებას საზღვარი არა აქვს. გამოდის მეექვსე დელეგატი)

**ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ ᲓᲔᲚ.** (გამოვა, ქურდულათ ფეხ-აკრეფით მიდის პოეტთან, შემდეგ გაიბერება, კისერს გაიძაბავს, თვალებს დააჭყეტს და უკან-უკან იხევს ჯორივით. ცოტა ხნის შემდეგ ისევ პოეტისკენ მიდის. ისევ უკან ბრუნდება და კიდევ წინ წავა. ასე გაიმეორებს რამდენჯერმე. ხალხი სულ განაბული ელის, რომ დელეგატი რაღაც უცნაურ რამეს იტყვის. პოეტს გული უწუხდება, მოუთმენლობა ეტყობა. ბოლოს წამოდგება და მიმართავს):

**ᲞᲝᲔᲢᲘ.**—საკიდაოთ თუ მიწევე, ჩემო ძმავ, ერთს უარი უთხარი და ახლა შენთან აღარ გამოვალ და საცეკვაოთ-კი არა მცალიან.

**ᲛᲔᲔᲥ. ᲓᲔᲚ.**—(ძალზე გაიბერება და მიდის პოეტისკენ) დიდებულო მგოსანო!

**ᲞᲝᲔᲢᲘ.**—სთქვი!

**ᲛᲔᲔᲥ. ᲓᲔᲚ.**—დიდებულო მგოსენო
მსურს ლექსი მოგახსენო.

(თავს უკრავს და უცბათ გარბის ხალხისკენ, სახე გაბრწყინებული, რომ საუცხოვო სიტყვა უთხრა პოეტს. შემოდის დელეგატი ქალი).

**ᲥᲐᲚᲘ.**—(მოუდგება გვერდში პოეტს და წრიპინს დაიწყებს). დიდებულო მგოსანო! რუსის ქალებმა გამომგზავნეს (ენა ებმის. სიცილი აუტყდება) მოგილოცოთ. (საშინლად გაწითლდება, ლაპარაკს ველარ ახერხებს, თავს იქნევს. უცბად ხელებს გაშლის ერთს შეხტება და პოეტს გადაეხვევა. დაიწყება მხურვალე ამბორი..... ცოტა ხანს შემდეგ ქალი კაბა ამოკაპიწებული გარბის).

(ფარდა ეშვება)

ი—ლი.

რაც მიაბარეს
საქმისთვის ფული,
ყველა აღმოჩნდა
მისგან შეჭმული..
არა დასტოვა
ხელგაუკრავი,
ნდობით აღსავსე
იყო პრისტავი.
და როს მოსთხოვეს
ანგარიშები
აღარსა იყო ქანქარიკები.

**მეორე.** როცა გაიგეს
ყოველი ესა
ჩინები ხომკი მიუმატესა?

**პირველი** ყველა ფიქრობდა
აღმატებაზე
და მიქიეევის
წარდგინებაზე,
მაგრამ გაცრუვდა
გლახ იმედები
და შეუბორკეს საწყალს ფეხები...
ჯერ არ მომხდარა
მგზავსი ამბავი:
პრისტავს ციხეში
ჩაუკრეს თავი!!!

**მეორე.** რა მესმის აგი საშინელები,
ალბათ მოსთქვამენ
ადესელები!!!
ნუთუ ბერიძე
კოწიამ ჩვენმა,
მხარი არ მისცა
იმ შესარცხვენმა?

**პირველი.** შესწუხდენ მაგრამ
არ სჩანდა შველა,
განზე გაუდგა
თითქმის სუყველა:
და ღირსი შვილი
ჯოჯოხეთისა
დღეს ცხრა კლიტულში,
ციხეში ზისა.

## გურული სცენა.

**დეპუტანტი.**

ამირჩიეს, წევედი, გიახელი, გურიაში დელეგატათ ამირჩიეს, თფილისში დეპუტანტათ გადამაქციეს—ასთე იყო აგი საქმე. გამართეს გურიაში კრება 7 ქრიშობისთვეს აკაკის იუბილეია და გურულებიც ნუ მევიჯაყებით გავაგზავნოთ დელეგატიო—დაასახელეს კანდიდატები და ქე გავთეთრდი—ქე გამიხარდა სულოცოდვილო, ვიფიქრე მობრუნდა ძველი დროი ერთს დელეგატსკი პოეზდით ჩავხრიგინდები თფილისში მეთქი—გამოვეწყვე ჩაქურაით ჩევედი ნიგოითში, მოშლიეინდა პოეზი, გადუბმან ერთმანეთზე ჩემი ოდა—შენი ოდა, ჩემი სახლი—შენი სახლი, ჩემი ნალიე—შენი ნალიეი, ჩემი ხულა—შენი ხულა—ვფიქრობდი ისე დელეგატურა უბილეთოთ ჩამჯდარიყავი, მარა ვინცხა ოჯახ.აშენებულმა მირჩია ახლა პოეზს კამენდატი მიყობა და დაგიჭირავსო. ეი ჰაი! ვეი ჰაი! რაღას ვიზამდი ხიშტიანი კონდუქტორები იყო. მევედით თფილისში იქინეი დამხთა ჩვენებურები, ჩამაჯინეს ელექტრიჩესკი კონკაში და გამახრიგინეს. ძალიანი ქე გამიკვირდა ასე უცხენოთ უჯოროთ და უხაროთ რა მიარბენიებს მეთქი, მარა რავა ვიკითხავდი, ისე შევიფერე ყოლიფერი ვითამ აკეთშიც ქე ყოფილა ამფერი. გევედით ძალიან დიდ ულიცაზე, დედავ, დედავ, რამდენი ხალხი იყო, ელიობა დღეს არ მახსოვს ნაგომარზე ამდენი—კი იყო შარშან მჭადი მამასახლათ მარა რეიზა უფრო არ გაძვირდა ამდენი მჭამელი თუ იყო დუნიაზე.

მიმიყვანეს ერთ ადგილას აქანაი წერა კითხვას არიგებენო, შევედით ზალაში, რა გინდა სულო და გულო იქინეი რომ არ იყო, ოქრო ვერცხლი, ბენძღი სპილენძი, ტაბტი, გობი, პატრეთები, ჩემი ბებიეს ნაქონი ჩოგურიც კი იყო. ნიკოიე ახალციხელის დუქანში ვერ ნახავ იმდენ ხურდა მურდას, წიგნებიც ბევრი იყო. ხალხიც ბევრი იყო, ყველაი დეპუტანტი იყო, ქალებიც იყო, ხუცებიც. ვიფიქრე რაც საქართველოში კაი ბიჭებია ყველაყაი აქანაია—აქანაი კი გევიგონებ კას ქართულს მეთქი. აგშორდეს ფოთის ზარბაზანი და ტამბაჩოვის ხელის შერება... თავმჯდომარეთ მისით დადგა ერთი გენერალი, დეიწყო რუსულათ ლაპარაკი—ვიკითხე რას ჩივა მეთქი, გადამითარგმნეს—ჩვენო არ გვეგონაო ამდენი პატივისმცემელი თუ ყავდა აკაკისო, ამდენი დეპუტანტები თუ მოხვიდოდითო, ვაი დედავ ჩვენ იმას ვწუხდით მეტი ვერ მევედით, აგინი იმას ტირიან რაცხა ორი პუზუნაი მევედით რეიზა მოდითო. ჩვენ აგილი არ გვაქო. ძალიანი გაკუმდენ იმერელი დეპუტანტები აკაკი ჩვენია ჩვენ ვინც მივედით ყველაი უნდა დავესწრათო, თუ გინდა თითო თუმანი გადაგვახდიე ოღონდ ერთი თვალი მოვკრათო. აგი არ იქნებაო, უთხრეს—ბილეთები ყველაი გავყიდეთო... გლახის აღაპის ამბავი კი გამიგონია მარა იგი გლახამ ქნა და აგი თუ იკადრებდა რავა მეგონა...რავაც იქნა მოშუშდა საქმე... დაგვირიგეს დეპუტანტის ბილეთები, მარა ვისგანაც ათი იყო იმას სამი ბილეთი მისცეს, შეამოკლეთო გვითხრეს, დედავ წავხთი დეპუტანტი რაფერ შემოკლდება, ხუცის ლოცვაა თუ ახალუხის კალთაი.

გათენდა კვირე—ქრისტიანი კაცი ვარ ვიფიქრე, წვალ საყდარში პიჯვარს დევიწერ მეთქი, წამიყვანეს სიონში, რომ მივედით სახტარში კი არა ნაობახის კარებზე მივედი მეგონა, იქინეიც ხიშტიანები იდგა, უბილეთოთ არც პიჯვრის დასაწერათ შეიშვეს—ჩვენში კაცებია ნებლაგანადიოტნი, აქანაი თურმე ხატებიც ისე ყოფილა, აგინსაც ვაენი პალატენია ქონია გამოცხადებული. საყდარში რა ამბავი იყო არ ვიცი, წირვა იყო შით თუ სალდათების უჩენიე—მევიცადეთ გარეთ—გამოვიდა საყტრიდან აკაკი—ღუუკრეს ტაში, დუუძახეს ვაშა. წამევედით იქიდან, მევედით ტრიატში, ტრიატრია მარა რა ტრიატრი, აკეთი, ნაგომარი, ბახვი, ასკანა ყველაი შით დიეტევა—ღღეი იყო მარა შით ჭიქის მასკლავები ბღღრიალებდა...დაჯინეს აკაკი მაღალ ადგილზე, გამახსენდა კალანდა, ჩიჩილაკი და წვინდა ბასილე. ახადეს სალოგინო ფარდა დაკრეს ტაში მარა რა ტაში, რაც ქორი და ჯაჯაი იყო თფილისის ღუბერნიაში ერთი არ მეიცდიდა. შეიქნა მილოცვა... რა ენაზე გინდა რომ არ ულოცავდენ: რუსულათ, ქართულათ, სომხურათ, თათრულად, მიულოცა ქალებმა, ბაღნებმა და ხუცებმაც კი მიულოცა კაცურათ. გამოვიდა ერთი ლამაზი ქიჩქნე რუსის ქალი—გუუჩერდა წინ, უპარუსკა, უპარუსკა, ჩიეხვია მერე და ჩაპროშტა—გამახსენდა აკაკის ლექსი „სანამ იყო ახალგაზდა“ სულის ცხონება თუ გინდოდა მაშინ გეკოცნა მეთქი ვიფიქრე.—გამევიდენ მისი სოფლის იმერლები გამეიტანეს აკვანი შენ ამაში იწევიო, მეიყვანეს ერთი დედაბერი აგი შენი ძიძის შვილიაო, გადაკოცნა იმანც—წუუკითხეს რეჩი, უჯრეს ლექსები, მიართვეს მოჭედილი ჯოხი, აგი კაია ბერი კაცია დეიბიჯებს, მარა აგი ვერ მივხდი—ამდენი სურო და წყავის ფურცელი რათ უნდოდა, თხები ყავს ნეტაი თუ ფაცხა აქ მოსაბუდნავი? ასე ულოცეს და ულოცეს, გამევიდა ერთი მეგრელი ქალი ვინცხა პარასკევაა აგი და რადგანაც პარასკევა ეთქვა იმანაც პარასკევისსიგძე სიტყვა უთხრა—მოღალეს ერთი სიტყვით... როიცხა მუაწია ჩვენი ოჩერედიც ჩვენც უთხარით ჩვენი სათქმელი...

შეიქნა ზამლობა, მოვკტეთ შიმშილით. რავაც იქნა დახურეს ფარდა და წევედით სადილის საჭმელათ.

მევიყარეთ საღამოს თავი კიდევ შეიქნა ვაი უშველებელი... ზოგი ქე მეიჯაყა, ქე გეიარა ალაიაში, მიეკრა ცოცხლითაი თავი. გამუარდა შენხარ ჩემი ბატონი ერთი ვინცხა სხვაფერათ ჩაცმული გლიმურჯი ყაძახი, გამუარდა მარა რა გამუარდა, ტყიდგან რომ ველური ტახი გამოშეპება ისე, დეიწყო მარა რა დეიწყო—„მე გამომგზავნა ქართველ რკინის გზის

მოსამსახურეების მუშებმა აღსტაფიდგან ბაქომდეო“. კი იმტროვა ხშირათ აგი პოეზები მარა ამფერი მოსამსახურეები თუ ყავს ყველაი რეიზა არ ჩეირანცხა ვითამ. დეიწყო რაცხა ლექსი, დაყლიპა თვალები ოჩხამურის გომბიასავით—შენ აკაკი მე ვარდენიო, შენ არწივი მე შე-ვარდენიო. ხან ტიროდა ხან იცინოდა, ხან ფშუქავდა საკალანდო ღორივით. ხან იქადნებოდა. ვიფიქრე ბნედა მოუარა საწყალს მეთქი. გაათავა მივარდა აკაკის ხელზე ვაკოცებო—არ დაანება, მუხლზე ეძგერა—არც აგი დაანება, შეიქნა ბურ-ხლი, კალამ დაგვიმტრია აგი მოხუცებუ-ლი კაცი. ასე იყო ამფერი ამბავი და მი-ლოცვა კანკურეხ შვაღამემდი. მერე წა-მოდგა აკაკი ჯერ სიტყვა თქვა, მერე კაისაგაგნ კაი ლექსით გაათავა—გავაკ-რუეთ იქაურობა ტაშით. მერე გააკეთეს სასირეს გორი, დაყენეს ზედ სამი კაი ქალი, აგი ნინო ქეთევან და თამარიაო. ძალიან ქე გამიკვირდა ქალებისგან იმდენ-ხანს მუნჯათ ყოფნა. ასე გათავდა აგი საქმე. მე აწი ამისთანას ვერაფერს ვერ ვეღირსები მარა იცი რა მჭეკს გულს? [illegible]ხა ყაძახი გამეკვიდა მეო ნიგოითიდ-[illegible]ვარ იქოური ყანის მუშაო და იქო-[illegible] ყანის მუშებმა მოგიღოცაო. დედავ [illegible]თუ შეიტყვეს, რომ ნიგოითი გურია-[illegible]ა ქე მოგვეკრა თავი. ყანის მუშა იქი-[illegible]ი ძალიან ბევრია, მარა იგინი სულ სხვანაირი ყანის მუშებია. იგინის და მი-სი აფიცერის ამბავს მერე გეტყვი—ახლა უკაცრავათ, სხვას უქცევდი ყბას და მეც ყბაისაქცევათ გავაპოწოლიკე აგი ამბავი.

**პიტნა.**

## მესტვირული

**გავისტუმრე რახანია**
**მე ბეცობის უკვე ხანა**
**და ვუმღერე იმას ბოლოს**
**„შენდობა და სულთა თანა“.**
**რა გავიცან თვალ ხილულმა**
**ცრუ სოფელი—ეს ქვეყანა,**
**და ავხსენი ჯახრაკული**
**მისი მრუდე გამოცანა,—**
**წამეკვეთა სასოება,**
**აწ იმედი არ მიჩანა...**
**ვის უნახავს, ვის მოსწრია**
**გახრწნილობა ამისთანა!**
**სიცრუე და ორპირობა,**
**ფლიდობა და ფეხის ბანა,**
**ყმა-მონური სამსახური,**
**კუდის ქნევა, ზურგის ფხანა,**
**ღალატი და გამცემლობა**
**შიგნიდან და გარედანა!..**
**გავსქდი გულზე, ვერ ვისვენებ!**
**გამიმტყუნებთ ამას განა?**
**და რომ გული მოვიფხანო,**
**სტვირს დაუკრავ ხან და ხანა**
**და ზედ ისევ ჩემებურათ**
**დავამღერებ თან და თანა:**

**რა გამრავლდა მოლაქუცე**
**მელაკუდა და ტურები,**
**გაწყდა ჩვენში ბედაური**
**მათი ნამზერ ნაყურები;**
**მოედანი ვირებს დარჩა...**
**ადგენ ეგ ყურ პანტურები**
**და ძვირფასი მოედანი**
**სასეირო, საყურები,**
**უმოწყალოთ გადაქელეს**
**ნახტომი, ნაფხაკურები.**
**პიროვნება შეილახა**
**ნაცემი, ნაპანღურები,**
**ბევრი არის მუჯლუგუნით,**
**მუშტებით შენახურები,**
**ვინ ჩამოთვლის რამდენს ასძვრა**
**წვერი ნაკბაკურები.**
**დღეს ყოველი შეიცვალა**
**ბრძენათ ფასობს თავ-ფუტურა,**
**ცხვრებსო მგელი ჩამოშორდა,**
**ამის მოწმეთ ვარგა ტურა.**
**რომ ბატს ყოველ დილდილობით**
**მელა ნახავს, მიდის ძმურა,**
**პატრონობს და თავს ევლება**
**აპმევს, უვლის—დააპურა,**
**ამას ფიცით დაგიმტკიცებს**
**დღეს ქათმების მცველი მურა.**
**კატა თაგვებს დაუმოყვრდა**
**და არ მტრობსო მათ კატურა,**
**საჯაროთ სთქვა ასე ვირთხამ,**
**და ფიცით დაადასტურა.**
**დათვი ბერათ აიკვეცა,**
**(გაგონილა!! ვინ უყურა?)**
**ვირი მოწმობს შუბლ მაგარი**
**და სქელ კანა. ეგ დიდ ყურა.**
**რას წრიპინობს ეს ბულბული,**
**სმენა გაგვიუამურა,**
**არა ესმის მას გალობის**
**და ნუ გჯერათ ჰისი ნურა.**
**ხოჯას ჯვარი აუღია**
**არ ღიღინობს ოსმალურა,**
**ბერი ქაბეთს გაემგზავრა,**
**თავზე ფესვი დაიბურა...**
**ამის მოწმეს ჩვენშიც ნახავთ,**
**მოგვეძევა ჩვენც ღამურა.**
**ჭკუით მოკლე, სულმდაბალი**
**უხედნელი, ანუ ურა,**
**სიტყვით უხვი, სხქმით უქმი**
**გაიძვერა უკმაკურა.**
**ამათ ნაშრომ „ნამოღვაწარს,“**
**ვინც შეხედა, წააყურა**
**იმას ბარგი აუკონეს,**
**გაამგზავრეს ღალატურა.**
**მესტვირული დავასრულე**
**მოვიჯერე რაკ გული,**
**ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე**
**თქვენი მონა და ერთგული,**
**მშვიდობა და გამარჯობა!..**
**ასე არის მიღებული,—**
**და დღეისწორს გიახლები**
**მე სტვირ გადმოკიდებული.**

**ბლიკვაძე.**

## პატარა საუბარი.

### 1

იუბილეს შემდეგ, სიამოვნებით დაქანცული ბალხი სწრაფათ იშლებოდა და ერიამულით მი-ეჩქარებოდა სახლისაკენ.

**კნეინა.** ქა, ე რა გიჟი ვინმე იყო, გენაცვა-ლეთ!.. როგორ დარბოდა, როგორ იბღვირე-ბოდა...

**კნიაუნა.** ისიც მწერალი ყოფილა დედი... ასე ამბობენ, ცნობილი მწერალიაო.

**ფოსტის მოხელე.** რის მწერალი ბატონო, მაგის მწერლობა ვის გაუგონია! მთელი სიცოც-ხლე რო იწვალოს, ერთს ვერაფერს მოჰმახავს...

**მასწავლებელი.** რა თქმა უნდა, თუ სულ ასე დახტის, ვერაფერს დასწერს. აკაკის პოეზიას ეგ აქტიორი, მამლისა და მარგალიტისა არ იყოს, ვერც კი გაიგებს. ბატონებო, მარტო „სამშობლო ხევსურისა“ რათა ღირს! ერთი იუ-ბილე მარტო ამ ლექსისათვის ეკადრებოდა.

**კნეინა.** რამდენი რა დაუწერია ქალო. ეგ თორნიკე ერისთავიო, ეს თამარ ღაზნელიო, ეს აჩი ბაშუკიო...

**კნიაუნა.** რას ამბობ, დედი!.. თამარ ღაზნე-ლი იაკობ გოგებაშვილის დაწერილია, აკაკიმ თამარიანი დასწერა...

**კნეინა.** აბა, რა ვიცი, გენაცვალოს დედა, ვინ რომელი დასწერა!.. ყველანიცა სწერავენ, ვინ გაარჩიოს!..

**გოროდოვოი.** Расходитесь! Не останавливайтесь! Приказано разгонять толпу!

**მასწავლებელი.** დიდებული იყო ბატონებო, დიდებული!...

**ფოსტის მოხელე.** გავიარეთ თორემ ერთ ხათაბალას აგვიტეხს ე სამგლე...

X.

1908

# აკაკი იუბილეის შემდეგ.

### ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ.

დღე დაგვირგვინდა დიადი,
„სიბალხო გაღვიძებისა,"
გრძნობისა ამჩუყებელი,
მომგვრელი ნეტარებისა!..

და გულს გაეკრა იმედი,
რომ შრომას ფასი ქონია,
რომ ჩვენი ხალხის „აღსრულდა",
„ბატონის" მონაგონია...

რომ დააფასა სამშობლომ
მგოსანი ენა შაქარა,
თუმც გრძნობა დაქარბებულმა
მარტო სიტყვები აკმარა...

შეამკო დაფნის გვირგვინით,
ჯოხებით, ყავარჯენითა,
მამაშვილური გრძნობები
არც გამოითქმის ენითა!..

მაგრამ, მეჩვენა მგოსანი
კვლავ სახით მონაწყენითა,
ვერ დაიმშვიდა სურვილი
ამ „უხვი" მონაძღვენითა!..

გამოეთხოვა... წავიდა,
მიეჩქარების შინასა,
მაგრამ ნუ იტყვითო! თურმე ის
მოკლებულია ბინასა...

ხან ერთთან მივა, ხან სხვასთან
მუდამ დღე, მუდამ ღამესა,
და დახმარებაც აქ უნდა
თუ გული გვერჩის რამესა.
და მართლაც მგოსანს არ ქონდეს
თავისა შესაფარები?!!
მუდამ სხვის ეზოს მიადგეს
და უკაკუნოს კარები?!!

არა მგონია, ეს ყოფა
თავს ზოგებზრებს ყველასა
და ვფიქრობ, ბერი მგოსანიც
გამოელოდა შველასა.

აქ კი, სანაცვლოთ, ძვირფასი
ნივთებიც შეაქუცესა
და „წერა-კითხვის" სადგომში
მოიმწყვდენ, თავი სტკუცესა.

უთხრეს: „მგოსანო! .შენ მაინც
ვერ პოებ დასაწყობსაო
და ჩვენ წავიღებთ ამ ნივთებს,
დაკარგვას ასე სჯობსაო.

შემონაწირავ ფულებსაც
ფონდებში ჩაგიწერავთო
და თუ მოგადგა მოვალე,
რა შავ ქვას აგიწერავსო!.."

ტკბილათ მიუგო პოეტმა:
„გმადლობთ, მამულიშვილნო[illegible]
ასე ერთგულათ რო ზრუნავ[illegible]
ნაჩუქ ნივთებზე ფრთხილნო[illegible]

წაიღეთ საცა გინდოდეთ,
დროზედვე გამაცალეთო,
ე გვირგვინები, ჯოხები
ცალ-ცალკე მიითვალეთო.

მე ტკბილი სიტყვა მეყოფა
და ეროვნული გრძნობაო,
ქართველთ და სომეხ-თათართა
მეგობრობა და ძმობაო...

**წვიმა.**

### ᲐᲙᲐᲙᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲘᲖᲔ.

(ვ. გ. ყიფიან (ღვანკითელის) მილოცვა).

ბაქოსა მხრიდან იფშუტა
ჭულაჯიანმა ყმაწვილმა
და შიშის ზარით აგვავსო
მისმა სიტყვების რახუნმა.

მიხტის და მოხტის სცენაზე,
როგორც ველური ტახია
(და რომ ურქენდეს კომიტეტს
მართებული და ახია).

იუბილიარს დასჭექა:
მოგილოცავ აკაკიო!
„მთლათ ქვეყანა შენ რომ გიცნობ..
არ უნდა ლაპარაკიო".

ძველი-ახალი თაობა
შენ შექმენ, მოაშენეო,
„ქართველი ქალის" მოქცევა
მარტო შენ გაგვაგონეო.

შენ პოეტი აკაკი ხარ,
მე პოეტი ვარდენიო,
შენ, მგოსანო, არწივი ხარ
და მე კი—შავარდენიო!

შენ დიდი ხარ, დიდებული
თავადი სახსერელიო,
მე კი—მცირე აზნაური,
გზის მუშა ღვანკითელიო!.

—

აკაკის ეს მოახსენა:
ნუ მაცინებ, ხა-ხა-ხაო...
— — — — — — — — —
— — — — — — — — —

**დეპუტანტი.**

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „ᲗᲠᲝᲛᲐ" რუსის ქ. № 3. გამომცემელი ᲐᲚ. Გ. ᲯᲔᲚᲘᲫᲔ.